



# შირაკი

SHIRAKI


გამოცემის 1937 წლიდან  
დადოვლისწყაროს პენიცილინების გაუქმით

№7(9.917)  
21-28 მარტი 2020 წელი  
ფასი: 50 თეთრი

## კორონავირუსი გვითევს!



### დარჩი სახლში!



დედოფლისწყაროში თვითიზოლაციაში 37 ადამიანი იმყოფება.

კარანტინში გადაყვანილია 1 პირი

კახეთიდან თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში გასული დღე-ღამის განმავლობაში კიდევ ორი ადამიანი გადაყვანეს. თვითიზოლაციაში მყოფთა რაოდენობა კი 249-დან 283-მდე გაიზარდა. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ცენტრის კახეთის განყოფილების უფროსმა, ნელი ხინაიძემ განაცხადა.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 20 მარტის მონაცემებით, „დედოფლისწყაროში თვითიზოლაციაში 37 ადამიანი იმყოფება, ხოლო კარანტინში გადაყვანილია 1 პირი“ -აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ცენტრის ხელმძღვანელი მარიამ ბონაძე.

დედოფლისწყაროში მოქალაქეები გარეთ ძირითადად პროდუქტების შესაძენად გამოდიან. სახლში დარჩენას ამჯობინებენ მოვაჭრეებიც, რადგან ფიქრობენ, რომ მათი საქმიანობა ვირუსით დაინფიცირების რისკს შეიცავს. დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასული დედოფლისწყაროს თვითმმართველობაც, 20 მარტიდან დაიხურა სილაძის სალონები, ტანსაცმლის მაღაზიები. იფუნქციონირებს მხოლოდ სასურსათო მაღაზიები და სააფთიაქო ქსელი.

აგრარულ ბაზრებზე ეს შუზღუდა არ იმოქმედებს, ასევე იმუშავებს ფოსტა. სასურსათო მაღაზიების გარდა, იმუშავებს სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მხამ-ქიმიკატების მაღაზიები და ბენზინგასამართი სადგურები.

მთავრობის გადაწყვეტილება, სხვადასხვა საცალო სავაჭრო ობიექტის დახურვასთან დაკავშირებით, სავალუტო ჯიხურებს არ შეეხება.

მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველო 21 მარტიდან საჭირო მიმოსვლას სრულად წყვეტს.

„საქართველოს მთავრობის მითითებით, „ჯორჯიან ეარვეის“ დროებით წყვეტს რეგულარულ ფრენებს ყველა მიმართულებით. შესრულდება მხოლოდ ჩარტერული რეისები, საქართველოს მთავრობის მითითებითა და ხელშეწყობით ჩვენი მოქალაქეების ჩამოსაყვანად ევროპის ქვეყნებიდან. აგრეთვე გვინდა აღნიშნოთ, რომ „ჯორჯიან ეარვეის“ მზად არის ნებისმიერი ქვეყნიდან გამოიყვანოს საქართველოს მოქალაქეები, თუ ამაზე იქნება საქართველოს მთავრობის მზადყოფნა და ხელშეწყობა. ასევე კომპანია მზად არის, ინდივიდუალური შეკვეთებითაც შეასრულოს ჩარტერული ავიარეისები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დასაბრუნებლად“.

20 მარტს კორონავირუსის ინფექციაზე დაახლოებით 100-მდე

ნიშანი გაიზარდა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორის ამირან გამყრელიძის განცხადებით, 20 მარტს კორონავირუსის ინფექციაზე დაახლოებით 100-მდე ნიმუში გაიტესტა.

როგორც მან განაცხადა, 30 იანვრიდან დღემდე 1073 შესაძლო შემთხვევაზე ტესტი ჩატარებული, მათგან 43 ლაბორატორიულად დადასტურებული კორონავირუსული ინფექციაა.

მისივე თქმით, შემთხვევათა უმეტესობა არის იმპორტირებული.

ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, საქარანტინე ზონებში არის 1575 ადამიანი მოთავსებული, თვითიზოლაციაში გამოვიდა 191, თვითიზოლაციაში კი რჩება 1781 ადამიანი.

მთავრობა სურსათის 9 ძირითად პროდუქტზე ფასს აზღვავს

„პრემიერ-მინისტრის დავალებით, ვმუშაობთ საგანგებო მექანიზმზე, რომლითაც ფასებს გავაკონტროლებთ 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე, ეს პროდუქტებია: ბრინჯი, მაკარონი, მზესუმზირის ზეთი, ფეხილი, შაქარი, ხორბალი, რძის ფხვნილი, წინიბურა და ლობიო“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

მისივე თქმით, სავალუტო რისკებისგან დაზღვევის მექანიზმი შესთავაზეს ძირითად იმპორტიორებს, მსხვილ დისტრიბუტორებს. „შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ფიქსირებულ საკურსო რეჟიმში გადავზღვევთ განსხვავებას კონკრეტული ფასიდან და კონკრეტული გაცვლითი კურსიდან. მსხვილი მომწოდებლები კომპენსაციას მიიღებენ იმისათვის, რომ მათ ფასი შეინარჩუნონ და არ გაზარდონ 9 მნიშვნელოვან პროდუქტზე, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სასურსათო მომარაგება. ბიზნესთან შეთანხმება შედგა, შესაბამისად, ჩვენ ავამოქმედებთ მექანიზმს.“

მინოდების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში გაკონტროლდება ფასი, გვექნება მკაცრი მონიტორინგი იმისათვის, რომ კონკრეტულმა ოპერატორმა არ მოახდინოს ფასის სპეკულაციური ზრდა.

რაც შეეხება მარაგებს, ქვეყანაში ძირითადი სასურსათო მარაგები გვაქვს.



იყო რამდენიმე პროდუქტზე შეფერხება, რაც, ერთი მხრივ, პანიკური შესყიდვებით იყო გამოწვეული და, მეორე მხრივ, კლიმატს უკავშირდებოდა. ამინდი გაუმჯობესდა; განმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს მთელი დღის განმავლობაში იმისათვის, რომ ტვირთი, რომელიც სახმელეთო გზით არის საქართველოში შემოსასვლელი, ლარსიდან შემოვიდეს. გამოსწორდება მდგომარეობა შვედეთში და გემებიდან სურსათის გადმოტვირთვა დაიწყება.

და ბოლოს, სურსათის დეფიციტის და ფასის ზრდის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის რეკომენდაციები თითოეულმა მოქალაქემ გაითვალისწინოს, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა

21 მარტი - პოეზიის დღე

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ სახელით გილოცავთ პოეზიის საერთაშორისო დღეს - 21 მარტს, რომელიც იუნესკოს ეგიდით 1999 წელს დაარსდა. დღევანდელი განსაცდელი კი უფრო მეტად გვაგაღებულებს ჩვენი გულისხმა მარადიული ღირებულებებისკენ მივაპყროთ და რით მოგილოცოთ პოეზიის დღე თუ არა ლექსით:

„ის დღე რა დღეა ლექსს რომ არ დაწერ, რომ ვერ მოიხდის სიყვარულისთვის, მოგონებათა ჭრელ-ჭრულ“

ფარდავ ზე თუ ვერ გაიფიქრა იმავე გულისთქმით, რომელმაც ერთ ღრთს შენში იალა,

დავწვა, დაგფრულა და დაგაღინა და დაგიტოვა სულში იარა, როგორც ტიციანის სხვა კოლომინა.

ასლა დაჰმა, გიჯობს არ დაწერ, ვერ დაიძინებ, მაინც, ზომ იცი,

ის დღე რა დღეა ლექსს რომ არ დაწერ, სიყვარულისთვის რომ ვერ მოიხდის!“

თოვლი, კორონავირუსი და...

დედამინა დაპაუზდა. საზოგადოებრივი დღის წესრიგი სრულად შეიცვალა. ახლა ნაკლებად ვფიქრობთ ყოველდღიურ პრობლემებზე, მაგრამ მეტს ვზრუნავთ იმაზე, თუ როგორ დავძლიოთ კაცობრიობის კიდევ ერთი გამოწვევა. გამოწვევა კი ნამდვილად სერიოზულია. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ხელოვნურად არის ის გამოწვეული, მასთან ბრძოლა მაინც საჭირო და აუცილებელია.

ამ ყველაფრის ფონზე კი მითები და რეალობა ერთმანეთში ირევა. ნაწილს მითების სჯერა, ნაწილს კი არსებული რეალობის. ფაქტებმა შიშთან და გაურკვევლობასთან ერთად, „უცნობთან“ ბრძოლის შესაძლებლობაშიც დაარწმუნა საზოგადოება. ერთ-ერთი მითი, რომელიც კორონავირუსთან დაკავშირებით გავრცელდა, გარემოს მაღალი ტემპერატურით ვირუსის მოკვლა იყო. გაიფიქრა მოსაზრებამ, რომ გაზაფხულზე მიმდინარე პანდემია ჩაცხრება. თუმცა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ჯერ არ არის დადგენილი. რაც არ ვიცით, იმის დაფერება ნაკლებად მიზანშეწონილია.

ამ მითის არსებობას მარტივად შეუწყო ხელი საქართველოში ამინდის გაუარესებამ. მაშინ როდესაც, 24 გრადუსი უკვე გაზაფხული და ზაფხულიც კი გვეგონა, მარტმა ეს იმედი და მოლოდინი სრულად გააქარწყლა. ვირუსისგან დათრგუნული ხალხის ფანჯრებში 17 მარტის დილას, ყველასგან მოულოდნელად, თოვლი გამოჩნდა, თანაც არც ისე ცოტა. თოვდა, თოვდა და გვებურთ თაღხი. მთელს საქართველოში მსგავსი ამინდი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საზოგადოებამ ვერც კი გაიაზრა აყვავებულ ატმოსფეროში თოვლის სქელი ფენა რომ ედო. ბავშვები გარეთ გამოვიდნენ, თუ რა შემთხვევაში ბავშვების სიხარულით გაიხარეს, წამით კი ყველას ყველა-

ფერი დაავიწყდა. განწყობის თეორია ამუშავდა. ჩაირთო ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება, ჰქონდეს გარემო-პირობების შეცვლასთან დაკავშირებული რეაქცია. მოხდა დანაკლისის შევსება, რომელიც განწყობის ერთ-ერთი სახეობაა და აზრობრივი თუ ფიზიკური ქმედებების მომატებას იწვევს. ქცევითი მოთხოვნილება პირდაპირ



დაუკავშირდა სულიერ სიმშვიდეს, გონებამ პაუზა აიღო და მიგზვდით, თუ რამდენად მოქმედებს გარემოს თუნდაც მცირედი ცვლილება ჩვენს მიზნებსა და რეალურ მოთხოვნილებებზე. ყველამ ვიცით, რომ ამინდი ჩვენს განწყობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ მას. ბევრმა სწორედ გულის კაემანი დაიბაძო თოვლში სიარულით, ზოგმა პირიქით-ამაში დამატებითი პრობლემა დაიხანა, მაგრამ ერთ რამეს ნამდვილად ვერ გავექცევით. მან რაღაც მაინც შეცვალა - ფიქრით გამოწვეული გადაღლილობა, თუ რა შემთხვევაში მოხდეს. დაიხ, ისევ დედამინამ და ბუნებამ გაგვინა დახ-

მარება და ცოტა ხნით მაინც შეუცვალა ჩვენს ფიქრებს დინების მიმართულება.

დღეს დედამინა ვირტუალურ ურთიერთობაზე გადავიდა. ვირტუალური გახდა ყველაფერი, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოთ - სამსახური, სიყვარული, მეგობრობა, გართობა. ყველაფერი, რაც კი აქამდე ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ვირტუალურ სივრცეს შეერია და გვასწავლა, თუ რამდენი რამის დაკავშირება შეგვიძლია ისე, რომ შედეგად არ დავხარჯოთ ისედაც შეზღუდული რესურსები. თოვლმა ვირტუალურ სამყაროშიც შეიტანა ცვლილებები და „გამოკეტილი“ სოციალური ისევ ღია საზოგადოებად აქცია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანია ჩვენი ემოციების სხვისთვის გაზიარება, რადგან ამ დროს, მგონია, რომ ყველაზე მეტადაა ადამიანი თავისუფალი.

გრძობა მნიშვნელოვანია, რადგან თუ მას არ იზიარებენ თავი მარტო გვეგონია. ეს უფრო მეტად გვაშინებს, გვაშორებს და გვრიყვანს ემოციებისათვის ქმედებათა ჯაჭვიდან. ასე, რომ ამჯერად თოვლთან დაკავშირებული ფენისზე სტატუსები თითქმის არავის გაუპროტესტებია. ზოგმა ისაკლისა კიდევ მისი სიმცირე.

თოვა ჩუმი, არავის ანუხებს. მშვიდად მოდის და მშვიდად მიდის. თოვა რაღაც ახლის დასაწყისია. სისპეტაკის,

განახლების და შეურყენელობის. ნეტა როგორია, როცა ფიფქი ხარ? ალბათ, გცივა და გეშინია. სულ გეშინია. შიში კი ცუდია. მგონია, რომ ფიფქები და ადამიანები ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ადვილია ჩვენი შეკვრა, მაგრამ დაშლა უფრო ადვილი. ორივე ბედს ვემორჩილებით, გვინდა, არ გვინდა. თუკი ადამიანი თავის ბედს ეწინააღმდეგება, ესეც ბედისწერა მგონია. ბედისწერის მჯერა. თუმცა ფიფქისგან განსხვავებით, ჩვენ თვითონ მაინც ვირჩევთ სად და ვისთან ერთად ვიყოთ, ვირჩევთ მეგობრებს, ცხოვრების თანამგზავრს, პროფესიას, ყველაფერს. ყოველდღიურობაც ჩვენი არჩევანია, მთავარია ამას როგორ შევხვდავთ. თუმცა აქ ოქროს წესის პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ და განვსაზღვროთ-რამდენად მიზანშეწონილია საკუთარი არჩევანის და სურვილების დაცვა იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებას კონსოლიდაცია და ერთიანი აზროვნება სჭირდება. ერთიანობა, რაც ყველა სიკეთესთან ერთად, გვეხმარება სიცოცხლის გადარჩენაში.

მე მიყვარს თოვა - როცა იცი, რომ ვიღაცასთან საერთო სიტომ შიშობა გააპვირავებს. ახლაც თოვს, ბარბთ კი დარღია იმდენი...დარღითან ერთად სილაგაზაცაა, რომელიც გვეუბნება, რომ ადამიანი აუცილებლად მოიგებს უხილავ მტერთან ომს. ომს, სადაც სახლში დარჩენა უფრო მტერი გმირებაა, ვიდრე მასთან შეგებება. ადამიანი სწორედ იმისთვის მოიგებს ამ ომს, თოვლი რომ კვლავ დაინახოს, ზღვა, მთა, მზა დაინახოს. თოვლი, კორონავირუსი და... ერთიანობის შორეული იმედი. აი, რა გვაქვია ჩვენ!

შუშუნა ყანაშვილი

# „დისტანციური სწავლების მეთოდი სრულიად ინტერაქტიული პროცესია...“

ოცდამეერთე საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიო კატაკლიზმებმა მოიცვა. დედამიწას კორონა ვირუსი უტევს. თითოეული ადამიანი გაურკვეველ შიშსა და მოლოდინში იმყოფება. საქართველოს მთავრობამ მოვლენებს იმაზე ადრე აუწყო ფეხი, ვიდრე კორონავირუსი საფრთხის წინაშე დააყენებდა. სასწავლო დაწესებულებების დახურვამ დიღემის წინაშე დააყენა საზოგადოება. იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი არ ჩაეარდნილიყო, განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასულიყო. მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც ექსპერიმენტის ჩატარება უნევთ. მოდით გავიგოთ, რას ფიქრობენ თავად ისინი.

თამაზა კოსტავაშვილი (პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი): რეალობიდან გამომდინარე, საჯარო, კერძო სკოლებსა და უნივერსიტეტებში დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლა ერთადერთი სწორი გამოსავალია შექმნილ სიტუაციაში, მიუხედავად მოსალოდნელი ბარიერებისა. ჩვენი სკოლების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად მზად აღმოჩნდა ახალი გამოწვევისთვის. ჯერ-ჯერობით ბევრ სკოლაში სასწავლო პროცესში არ არის დანერგილი. ონლაინ პროგრამები, რომლებიც უშუალოდ დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება, საკმაოდ მრავალფეროვანი და სახალისოა მოსწავლეებისთვის, რასაც ემატება დიდი ვირტუალური შესაძლებლობები, თუმცა ზოგიერთი სკოლა უკვე სარგებლობს დისტანციური სწავლების პლატფორმით. სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი აღმოჩნდა ასე მოკლე დროში სასწავლო პროცესის სხვა რეჟიმზე გადართვა, რთულია მოსწავლისთვის პრაქტიკული ახსნის გარეშე, დავალებად მიცემული მასალის განალიზება, ყველას არ აქვს მაღალი სიჩქარის ინტერნეტი, კომპიუტერი და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სწავლა-სწავლების პროცესში (უნარების და შესაძლებლობების ფარგლებში). არ შემოიძლია არ აღვნიშნო მშობელთა ჩართულობა და მათი გვერდში დგომა (განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლების). მასწავლებლები აქტიურად იყენებენ: საკითხავ ლიტერატურას, შემეცნებით აქ-

სასწავლო პროცესის ანალოგი.

ალეკო კოტავაშვილი (პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მძღლის კანდიდატი): ჩემი აზრით, დისტანციური სწავლება საკმაოდ ოპტიმალური გზაა ასეთ ვითარებაში, ჩვენი სასწავლო გეგმის დასამთავრებლად. ვფიქრობ, ასეთი სიახლე ჩვენ ქვეყანაში ბავშვებს უფრო მეტად გაახალისებს და შეძლებისდაგვარად ერთმანეთთან ჯგუფური სამუშაოების, თემების გაანალიზების და მსჯელობის საფუძველზე დაახლოებს და მოტივაციასაც მისცემს შემდგომი დავალებებისთვის. საქართველოს განათლების სისტემა კი ვფიქრობ, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა ეპიდემიის მიუხედავად არ ჩააგდონ ეს სასწავლო წელი.

რუსუდან გონაშვილი (სორნაპუჯის სკოლის პედაგოგი): შექმნილი სიტუაცია ყველას მოგხსენებთ და ამ სიტუაციის გამო, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადამწყვეტილებით სასწავლო პროცესის გადავადებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საჯარო და კერძო სკოლების ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს რომ დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლა შესთავაზა, ესეც კარგად იცით. რა თქმა უნდა, ყველა კარგად ვაცნობიერებთ, რომ ეს სპონტანური (და, ჩემი აზრით, ერთ-ერთი სწორი) გადაწყვეტილება იყო და ყველაფერი ვერ გაითვლებოდა წინასწარ, თუნდაც ყველა პედაგოგი და სკოლა (მშობელიცა და ბავშვიც) ამისთვის მზად ყოფილიყო. ნუ მინყენთ, მაგრამ, მგონია, რომ მასწავლებლებს გვახსიათებს ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა, რალაც ოქროს შუალედის მოძებნას არასდროს ვცდილობთ, მუდამ ინსტრუქციებს ველოდებით და ამ ინსტრუქციებსაც სწორხაზოვნად ვიღებთ ყოველგვარი ანალიზის გარეშე, სხვანაირად ვერ ვხსნი ზოგიერთი კოლეგისა თუ სკოლის გადამწყვეტილებას, რომლებიც 45 წუთიან ვიდეო გაკვეთილებს უტარებენ ბავშვებს და თავს იწონებენ იმით, რომ ისე მოეწონათ მოსწავლეებს, 45 წუთის მაგივრად, საათს გააგრძელდა მათი შეხვედრა. წლობით ნაფიქრი და დამუშავებული სასწავლო გეგმით,

სწავლების ფორმითა და სტანდარტებით ვერ მივალნიეთ სასურველ შედეგს და ვინმე ფიქრობთ, რომ საგნებში სიტუაციის გამო ასე სპონტანურად შემოთავაზებული დისტანციური სწავლება იქნება, ან უნდა იყოს ტრადიციული სწავლების ანალოგი?!

თანაც არავის დაუვალდებულებია ეს ჩვენთვის. იმავე რეკომენდაციაში წერია: „მნიშვნელოვანია, თითოეულმა სკოლამ გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მდგომარეობა ელექტრონულ მონაცემების გამოყენებას და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით. სამინისტრო მასწავლებლებს მოუწოდებს, მოსწავლის ოჯახის ინდივიდუალური კონტექსტიდან გამომდინარე, მოსწავლეს შეურჩიოს კლასგარეშე საკითხავი მასალა“. იქნება ამაზეც გვეფიქრა? მოსწავლეებს კი არა, ბევრ მასწავლებელსაც არა აქვს სათანადო პირობები იმისთვის, რომ ამ სი-



ტუაციაში განზე არ დარჩეს და რალაც ფორმით მაინც ჰქონდეს ურთიერთობა მოსწავლესთან. მონდომება და სურვილი რომ დიდი აქვთ, ვხედავ, მესმის, მიხარია. მთელი დღე მინევედა უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემა, ამის პარალელურად ვამზადებდი მოსწავლეთათვის დავალებებს, ვპასუხობდი მათ კითხვებს, ფაქტობრივად, გუშინ ონლაინ ვცხოვრობდი. ერთ-ერთმა მოსწავლემ ღამის თორმეტის ნახევარზე მომწერა, კითხვა მაქვსო და ჩემს შეცხადებაზე - ამ შუალამისას-მეთქი?-მშიდად მიპასუხა, კო. სხვა რა გზა მქონდა, მიფუსმინე და ვუპასუხე. საღამოს ონლაინ ჩართვა მქონდა დანიშნული ახალი სკოლის მოდელში ჩართულ მასწავლებლებთან და ამ ჩართვისთვის ფსიქოლოგიურ-ტექნიკურად ვამზადებდი და ვტივრთავდი, თან ყველა დასმულ კითხვას ვპასუხობდი პირადად. იმის თქმა მინდა, რომ ტრადიციული სწავლებისას ერთ თვეში დასახარჯი ენერგია, გუშინ ერთ დღეში დამეხარჯა და წარმოიდგინეთ ახლა ბავშვი, რომელსაც კომპიუტერთან სრულყოფილ გაკვეთილებს უტარებენ ცხრილის მიხედვით. ჩემი მოკრძალებული აზრით, არც სასურველია და არც საავალდებულო ყოველდღე ონლაინ გაკვეთილები. საჭიროების შემთხვევაში, თუკი ამის ტექნიკური შესაძლებლობა გაქვთ და განწყობა-მზაობაც, (არა მხოლოდ თქვენ, მოსწავლეებსაც) რატომაც არა, მაგრამ არა 45 წუთი. რასაც ვხედავ და ვუყურებ, მასწავლებლების უმეტესობა სახელმძღვანელოს გვერდებსა და პრეზენტაციებს უგზავნიან მოსწავლეებს და ცდილობენ, მასალა გაიარონ. მასალის ათვისება ცუდი არაა, საჭიროცაა, მაგრამ, მგონი, ახლა უფრო მეტი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სახალისო და შემეცნებითი დავალებები უნდა მიცემა და არა მასალის ათვისებაზე ორიენტირებული ( ვიმეორებ, ეს ჩემი აზრია და ნუ შემრისხავთ ახლა ამის გამო და პროგრამას ნუ მომიტანთ არგუმენტად). საათობით კომპიუტერთან ჯდომის მაგივრად მივიტოვებ ნასაკითხად რამე წიგნი, თემი, ლექსი... დაფიქრეთ რამე საკითხზე, „აი-ძულეთ“ იაზროვნოს დამოუკიდებლად და ნუ იქნება მაინცდამაინც სილაბუსიდან ეს საკითხი, არაა პრობლემა. ქართულში კვირაში 5 საათია, მაგრამ ყოველდღე არ ვხვდები და ვაძლევ დავალებებს მოსწავლეს ონლაინ.(მადლობა ღმერთს, გაიზარა ჩემი მოსაზრებები დირექციამ და დამთანხმდა ), კვირაში 2- ჯერ დავგეგმეთ „გაკვეთილი“ შებრუნებული საკლასო ოთახის პრინციპით. ეს პრინციპი ყველასთვის ნაცნობია და არ შეგანყენთ თავს მისი ახსნით. მივიჩნიე, რომ ყველაზე კარგი ვარიანტი იყო ეს. შეხვედრა და მოსწავლეთა კითხვებზე პასუხის გაცემა კი თეამს - ით გადაწყვიტე, სადაც ერთად განვიხილავთ მათთვის გადაგზავნილ მასალას. ჩემთვის ეს პროგრამაც ყველაზე მოსახერხებელი და პრაქტიკულია ამ

სიტუაციაში ბევრი რამის გამო.

ზამპარია ჭაბუკიანი (პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, მდლის კანდიდატი): პირველ რიგში გეტყვით, რომ ონლაინ სწავლაზე გადასვლა ძალიან კარგი საშუალებაა კარანტინის და იმ წესების დასაცავად, რომელიც დღესდღეობით გვაქვს დაწესებული. რაც შეეხება ამ გამოწვევის წინაშე მზაობას, ვიტყვი, რომ არ არის საჭირო დიდი მომზადება, რადგან იქამდე ინტერნეტთან და სოციალურ ქსელებთან ყველას მივინვდებოდა ხელი და ძალიან კარგადაც ვახერხებდით ერთმანეთთან კონტაქტს. ერთი პრობლემა, რასაც ვხედავ და ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით პრობლემად რჩება, ესაა იმ მოსწავლეთა ჩართულობა, რომლებსაც არ აქვს ინტერნეტი, კომპიუტერი ან ზოგადად, სმარტ მონიტირები. ეს სიახლე სამომავლოდ კარგი იქნება, რადგან უფრო აქტიურად დაინერგება ონლაინ სწავლება, სხვა საგანგებო სიტუაციების არსებობის შემთხვევაში, უკვე მზად ვიქნებით ამ გამოწვევისთვის და საკმაოდ მომზადებულნი ვიქნებით. ერთადერთს იმას ვისურვებდი, რომ მოხდეს იმ მოსწავლეთა საჭირო ტექნიკური აღჭურვა (თუნდაც დროებით), რომლებსაც არ აქვთ საშუალება ჩაერთონ ონლაინ გაკვეთილებში.

რუსუდან ნადირაშვილი, (ნგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი) - „ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში, დისტანციური სწავლება განათლების სამინისტროს მიერ გადადგმული ერთ-ერთი სწორი და დროული ნაბიჯია. სკოლების უმეტესობას აქვს ინტერნეტი, რაზეც წვდომა აქვს მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. 21-ე საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებმა უზრუნველყო პროცესი, სადაც ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ ინტერნეტის მოხმარება. რაც შეეხება პედაგოგებს, ჩვენც გავლილი გვაქვს ინტერნეტის მოხმარებისთვის საჭირო ტრენინგები. უფროსი თაობის პედაგოგებმაც ათვისეს ინტერნეტთან მუშაობის უნარ-ჩვევები. საპენსიო რეფორმის ფარგლებში, პროექტის განხორციელების შემდეგ სკოლები ახალგაზრდა კადრებით შეივსო. ვფიქრობ, რომ დღეს თუ ადამიანს პრეტენზია აქვს ერქვას მასწავლებელი და სკოლაში შედიოდეს, მას არანაირი პრობლემა არ უნდა ჰქონდეს ტექნიკურად მოახერხოს დისტანციური სწავლება. დისტანციური სწავლების მეთოდი სრულიად ინტერაქტიული პროცესია. ყველაფერი რომ ჩაივლის, მგონია, რომ ეს ყველაფერი დიდ გამოცდილებას დაგვიტოვებს ყველას, მოსწავლესაც, მასწავლებლებსაც და მშობლებსაც. იმედია, ასეთი საფრთხის წინაშე აღარ აღმოვჩნდებით და ასე გლობალური ეპიდემიები აღარ იქნება. ქართველი მედიკოსების მუშაობა იმედს გვაძლევს, რომ სამომავლოდ საქართველო კიდევ უფრო მეტად მობილიზებული იქნება ასეთი გამოწვევისთვის“.



ტივობებს, თემატურ დავალებებს და ასევე, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას მოსწავლეებთან: სოციალურ ქსელს; ვიდეოზარს; ტელეფონს; ელექტრონულ ფოსტას. პედაგოგების ნაწილი, რომლებიც ჩართულები არიან ახალი სკოლის მოდელში, უკვე ფლობენ აღნიშნულ ონლაინ პროგრამებს და წარმატებულად იყენებენ დისტანციური სწავლების პროცესში. განათლების სამინისტრო გეგმავს ეტაპობრივად პედაგოგთა გადამზადებას ამ კუთხით. ჩემი აზრით, დისტანციური სწავლება, ეს არის მომავლის სწავლება და ძალიან მალე გახდება ტრადიციული

# რა ჰქმნა კორონამ?

## შიგრილი შივი!

ამ შიშმა ადამიანებს საღი აზროვნების უნარი დააკარგვინა. ის, რაც კორონავირუსით გამოწვეულმა პანიკამ სუპერმარკეტებში და-ატრიალა, ეს იყო „კორონა ზეიმი“! ათასობით ადამიანი ერთმანეთს ეცი-ლავოდა: ზეთისთვის, ფქვილისთვის, პურისთვის, რომლის მარაგი ყველა სახელმწიფოს აქვს და თუ არ აქვს, ერთმანეთს დახმარება ამ დროს. მაგრამ აი, იმ „საკვების მართონის“ დროს რამდენი კორონავირუსის მატარებელი იყო და ვინ ვის რა გადასდო-ღვირვით იცის!

დღევანდელ ჭარბნარკოზის საზოგადოებაში, როდესაც არ იცინა, სად წაიღონ პროდუქტი, და მუდმივად ეძებენ გასაღების გახარს, მით უმეტეს ახლა, როდესაც რესტორნები და სხვა კვების ობიექტები იკეტება, სად უნდა გასაღდეს ეს პროდუქცია? ამ მხრივ დოქტორი არ იქნება, მაგრამ ადამი-ნები სწორად ამას ინარცით აკეთებენ.



### კორონა დადებითი შედეგები

1. კაზინოები მოიხსრა;
2. პორტლები დაიხსრა;
3. ტარორიზმი შეწყდა;
4. სამსაქონლო თავისუფლება მოიხსრა;
5. ღია საზღვრები დაიხსრა;
6. საქმეაქონლო პოლიტიკა მოკვდა;

7. ეროვნულმა შეგნებებმა გაიღ-ვიძეს;
8. მოქალაქეები რეგონებს დაუბრუნდნენ და დიდმა ქალაქებმა ამოიხსნათ;
9. რელიგიური დისკუსიის გაცო-ცხლდა;
10. სიყვარული მხოლოდ ნამდვი-ლი დარჩა;

### მოდა, ახალი განცხადება და ქვემოქვედა

კორონავირუსმა „ახალი ტენდენციები დანერგა“ მსოფლიო მოდის იდუ-სტრიაშიც. ცნობილი მოდელები თუ მოუ-ბინესის წარმომადგენლები საზოგა-დოების წინაშე ნიღბებითა და შესაბამისი აღჭურვილობით გამოჩნდნენ.

ცნობილმა დიზაინერებმა მოდელების ჩვენება ვირტუალურ რეჟიმში მოაწყვეს. პირველი მოდის ლეგენდა დოლჩე და გაბანა აღმოჩნდა.

მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა ჯორჯო არმანიც, რომელმაც სა-კუთარი კოლექციის ჩვენების პრეზენტაციის გარდა, თავი ქველმოქმედებითაც დაავამახსოვრა. იტალიური გამოცემა Corriere della Sera-ს ინფორმაციით, Armani-ს ჯგუფი მილიონ 250 ათას ევროს გაიღებს კორონავირუსთან საბრძოლვე-ლად. თანხა მილანში მდებარე სამ საავადმყოფოსა და სამოქალაქო თავდაცვის სააგენტოს გადაეცემა.

კორჯო არმანის კვლავად „დოლჩე და გაბანა“ მიჰყვა. დიზაინერებმა სოლიდური თანხა კვლევით უნივერსიტეტს Humanitas გადაურიცხეს, იმისათ-ვის რომ კორონავირუსის სანინალმდეგო ვაქცინის ექსპერიმენტები დროულად დასრულდეს. თუმცა, იტალიურმა მოდის სახლმა თანხის რაოდენობა არ გაასა-ჯაროვა.



### გვირაბი და ანტიგვირაბი

ახალმა კორონავირუსმა შვა ჩვენი დროის გვირაბიც და ანტიგვირაბიც. შიშისა და უი-მედოვის ფონზე გამოჩნდნენ ადამიანები, ვისი ჰუმანურო-ბაც და პროფესიონალიზმიც საგაბალითა და იმადისმო-ცაში.

ჩვენი დროის გვირის სტა-ტუსს ინანილებენ ქვეყნის პრე-მიერ-მინისტრი გიორგი ბახა-რია მთავრობის სხვა წევრებთან ერთად. ხელისუფლების წარმო-მადგენლებთან ერთად ამ დღეე-ბში პროფესიონალიზმისა და სამოქალაქო გვირობის მაგალითები გვიჩვენებს ამირან გამყრელიძე, თენგიზ ცერცვა-ძემ და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებმა. მედიცინის მუშაკებმა 18 მარტს ქართველი ხალხისგან დამსახურებულად მიიღეს „სოლიდარობის ტაში“. ლონისციების ორგანიზაციური იყო საზოგადოების რიგითი წარმომადგენელი, ფოტოგრაფი გობა ჩანაღირი.

ქართული საზოგადოების განსაკუთრებული სიმპათია იხრება ამირან გამყრელი-ძის მხარეს, როგორც COVID-19-თან მებრძოლი გვირის მიმართ, რომლის შეილიც (ბედის ირონიაც ამას ჰქვია) სწორედ ამ ვირუსით დაინფიცირდა. ეს ფაქტი არ დამა-ლა გამყრელიძემ, პირველმა სწორედ მან ამცნო მოსახლეობას ამის თაობაზე და მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა. მის მაღალ რეიტინგზე მეტყველებს სოციალურ ქსელში გავრცელებული ფრაზა: „საქართველოს ადრე კლდეზე მიჯაჭვული ამირანის იმე-დი ჰქონდა, ახლა კი-გამყრელიძის“. მოკლედ, ნარსულშიც და ანგუროც ამირანის იმედაც ვართ...

საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელ-თაც გამოიჩინეს სამოქალაქო გვირობა და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კორონავირუსისგან დაცვან ხანდაზმულები, ანდა დაეხმარნენ იმ ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდებათ. სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები იტალიიდან, სადაც ახალ-გაზრდა მამაკაცი სახლში მიტანის უფასო სერვისს სთავაზობს ყველას, ვისაც ამის საჭიროება აქვს და თანამოქალაქეებს სთხოვს, არ გამოვიდნენ გარეთ. საქართვე-ლოშიც მრავლადაა ასეთი მაგალითები, მაგრამ ამის საპირისპიროდ, „კორონამ“ ან-ტიგვირაბის დაბადებასაც შეუწყო ხელი.

ანტიგვირაბის რეიტინგში პირველობას არავის უთმობენ სავაჭრო ობიექტე-ბის წარმომადგენლები, რომელთაც, მთავრობის გაფრთხილების მიუხედავად, საკვებსა თუ ყოველდღიური მოთხოვნილების საგნებზე ფასები მკვეთრად გა-ზარდეს. მათთან ერთად ანტიგვირაბის ტიტულს დამსახურებულად იყოფენ ბენ-ზინგასამართი სადგურების მესვეურებიც. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცა, საქართველოში სანავთობო არათუ გაიარდა, არამედ კიდევ უფრო გაძვირდა. ანტიგვირაბის სიაში მოხვდნენ აფ-თიაქებიც, რომლებმაც ისარგებლეს ხალხში შექმნილი აფიოტაჟით და ისედაც გაძვირებულ მედიკამენტებზე ფასები კიდევ უფრო ასწიეს.

ანტიგვირაბის სიის ლიდერები კი ის ურჩი ადამიანები გახდნენ, რომელთაც დაარღვიეს თვითიზოლაციის პირობები და ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელე-ბის რისკი შექმნეს. მათ უკვე ეწოდათ „მოსიარულე მკვლელები“.

თვითიზოლაციის წესების დარღვევის შემთხვევები იყო იმერეთის, სამეგრე-ლოს, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯა-ვახეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებიდან, ასევე, თბილისიდან. 19 მარტის მდ-გომარეობით, თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში, იძულების წესით, ჯამში, 127 ადამიანია გადაყვანილი.



### სწავლა-ონლაინ. კითხვას-ონლაინ...

საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, კორონავი-რუსთან ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში, დაიკეტა სასწავლო დაწესებულებები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სწავლა გადართეს. 21-ე საუკუნის ტე-ქნოლოგიური მიღწევები იმის საშუალებას ნამდვილად იძლევა, რომ სასწავლო პროცესი დისტანციურად წარმოებოდეს. ამიტომ გააკეთდა გადაწყვეტილება და ლექციებიც ონლაინ ტარდება და პროფესორ-მასწავლებლებსა და მოსწავლე-სტუდენტების ადგილზე გამოცხადება აუცილებლობას სულაც აღარ წარმოადგენს.

მსგავსი რეაქციის წინაშე დადგნენ ევროპის სასწავლოებშიც, რომლებმაც დისტანციური სწავლება პრაქტიკაში დანერგეს.

კიდევ ერთი სახე, რომელიც მოცალეობის უამს შეგიძლიათ გააკეთოთ, წიგნე-ბის კითხვაა, თუმცა ამისთვის ბიბლიოთეკებში ვიზიტი ანდა წიგნის მალაზიებში სია-რული სულაც არ იქნება საჭირო. მათთვის, ვისაც თავისუფალი დროის გატარების პრობლემა აქვს, სასურველი წიგნის კითხვა დისტანციურად შეუძლია, თანაც ისე, რომ ამაში არც თანხა და არც დრო დაეხარჯება. როგორ? ონლაინ. საქართველოს მოქალაქეებისთვის ინტერნეტ-მაღაზია lit.ge-ზე 2093 ელექტრონული წიგნი ერთი თვის განმავლობაში უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა.

ასევე დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში შეძლებს ნებისმიერი მსურველი სპე-ქტაკლებისა თუ კინოფილმების ნახვას, მსოფლიოს ნებისმიერი ღირსშესანიშნაობისა თუ ქალაქის დათვალიერებას...

# რა ჰქმნა კორონამ?

წარსლის გაკვირვებულ-თვითდაზარალებულ-გადარჩენილთა



აღამიანის ადგილი ბო-  
ღარძი ჩოხელისთვის დღე-  
მინაა. დედამიწა ადამიან-  
ბისა და სიცოცხლის სამყოფი  
სივრცე. ამიტომაც ამოვს:  
„თუ დედამიწას გაუმარჯვდე-  
ბა, სიცოცხლეც გამარჯვებუ-  
ლი იქნება“.

ასე ფიქრობდნენ მთაში,  
სადაც ჩვენმა წინაპრებმა სა-  
მოქალაქო გმირობისა და პასუ-  
ხისმგებლობის გასაოცარი მაგა-  
ლითები დაგვიტოვეს. დღეს კი  
ჩვენი თანამემამულეები, ისინი,  
ვინც კორონა ვირუსის გავრცე-  
ლების მაღალი რისკის  
ქვეყნებში იმყოფებოდნენ,  
არ ემორჩილებიან თვითიზოლაციის წესებს  
და მუდმივად არღვევენ  
მას. რა არის ეს, თუ არა  
დაბალი სამოქალაქო  
შეგნება და სხვისი სი-  
ცოცხლისა თუ ჯანმრ-  
თელობის გაუფრთხი-  
ლებლობა?!

ანატორი-აკლამე-  
ბში თვითდამარხული  
სოფელი, რომელიც პი-  
რეიტა ხევსურეთში, შა-  
ტილიდან დაახლოებით  
3 კილომეტრში მდებარე-  
ობს. სოფელში, რო-  
მელიც ისტორიული წყა-



რობით მე-18 საუკუნეში ამოწყდა, ძირითადად, სისაურებს უცხოვრიათ.  
გადმოცემის თანახმად, რალაც ინფექცია, აქაურად „უამი“ მოსდებია სოფელს და რაკი  
დამმარხავი და აკლამამდე მიმყვანი (მიმტანი) ალარავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორელები  
თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლამაში. ადრე გარდაცვლილებს საწოლი თარობებიდან ძირს გად-  
მოაგდებდნენ და ახლა მშვიდ-მწყურვალნი თვითონ ელოდნენ სიკვდილს.

აკლამების შიგნით, კედლების გასწვრივ, მიცვალებულთა დასასვენებლად ორ ან სამ ია-  
რუსად ფიქლის თარობები მოწყობილი. აკლამებში რამდენიმე ათეული ადამიანი იყო დაკრ-  
ძალული. ადრე დაკრძალულთა ძელები იატაკზე და ქვედა იარუსის თარობებს ქვეშ იყო და-  
გროვილი. არქეოლოგიური გათხრის დროს აკლამაში აღმოჩნდა ხის ჭურჭელი, სამკაულები,  
ისრისპირები და მონეტები.

ასეთი თვითდამარხვა კაცობრიობისთვის ალბათ უცნობია. აკლამური დაკრძალვის ეს წესი შა-  
ტილი გვიანობამდე (XX საუკუნემდე) შემორჩა.

ასეთი ამბები ხდებოდა სტეფანწმინდამდე... გორისციხის სიახლოვეს, სოფლის შემოგარენშიც  
შემორჩენილია ღრმა, ვიწროუკლებანი მიწის ორმოები. ისეთი ყელი ჰქონდა ამ ორმოებს, შიგ ჩასუ-  
ლი ადამიანი უკან ვეღარ უნდა ამოსულიყო.

სიკვდილის მოლოდინზე მეტი ტანჯვა არ არსებობს ადამიანისთვის. ისინი კი ენამებოდნენ, ნება-  
ყოფლობით!

ანატორის აკლამაში კი დარჩა აკვანში ჩანოლილ შვილს გადაფარებული დედის ცხედარი და  
წარწერები:

„სარკელიდან მოჩანს შემოდგომის ჭრელი ხეები, მდინარის აქეთ ყველაფერი შავ-თეთრია“; „გაღ-  
მა სოფელში ასკილი ყვავის“; „ამ წვილს სარკელში ღმერთიც ვეღარ შემოეტივება“...

მისტიური და სავაიანა ეს ადგილიც და ისტორიაც, ისევე, რომაც ეს წარწერები.  
გვიჩვენებს კი - გაუმარჯავალი და დაუზარალებელი. ჩვენი წინაპრებისთვის ძვირფასი, მხოლოდ  
სოფელზე ზრუნვა იყო მთავარი ღირებულება, სიცოცხლეზე მთავარიც კი... და სწორად  
ფიქრობდნენ ისინი „თუ დედამიწას გაუმარჯვდება, სიცოცხლეც გამარჯვებული იქნება“.

ასე, კორონავირუსმა წარსლის გაკვირვებულ-თვითდაზარალებულ-გადარჩენილთა  
სიცოცხლის გარდაცვლა მოიწოდებდა და აწყობდა და სიკვდილ-  
სიცოცხლის გარდაცვლა მოიწოდებდა და აწყობდა.

## სიყვარული შიშისგან დროს

იზოლაციაში მყოფს და უამრავი დროის  
მქონეს, უამრავი და კორონაზე ფიქრი სი-  
ყვარულს ვერ დაგვიშლის. ოღონდ ეგაა, სი-  
ყვარულიც ვირტუალური ხდება. როგორც  
რეალობა გვიჩვენებს, მანამდე არსებული  
სიყვარულის ფორმულა, რომ „სიყვარული  
ვერტიკალურია და თან ბრუნვადი“, კითხ-  
ვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან დედამიწა  
გაჩერდა და მალე მას ალბათ ახალი ფორ-  
მულა ჩაანაცვლებს. საოცრება ხდება, ყვე-  
ლსა, მანამდე მოუცვლელს, უამრავი თა-  
ვისუფალი და აუთვისებელი დრო გვაქვს...  
მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ  
დრო ფარდობითია, მაშინ თავისუფლად შე-  
გიძლიათ ამოისუნთქოთ და „დროსა და სი-  
ვრცეში სიყვარულით დაიკარგოთ“, თუნდაც  
ვირტუალურად, რადგან დრო მანაც მიჰქრის  
და სჯობს, წერილების წერა და საყვარე-  
ლი ადამიანის ვირტუალურ „ლაივი“ ნახვა  
მანაც მოასწროთ, მანამ, სანამ კორონა გა-  
დივლიდეს...  
„სიყვარულის არითმეტიკაში ერთს მიეუ-  
მატოთ ერთი - ყველაფერია, ხოლო ორს გა-  
მოვკლეთ ერთი - არაფერი“. წერდა ანატოლ  
ფრანსი. ეს ის ფორმულაა, რომელსაც ვერც  
შეცვლი და ვერც უამიანობისა თუ ვირტუა-  
ლურ სივრცეში გააპროექტებ.

ამიტომ, თუ ამ ფორმულისა და ორმხრი-  
ვი სიყვარულის მსხვერპლი გახდებით, მაშინ  
მხოლოდ ვირტუალურ სიყვარულს ვეღარ  
დასჯერდებით. სერიოზულად უნდა მოეგზა-

## ომის პერიოდის პრაქტიკა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საკუთარ თავს „ომის პერიოდის პრეზიდენ-  
ტი“ უწოდა, კორონავირუსის ძლიერი კრიზისის ფონზე.  
კითხვაზე, ხედავს თუ არა ქვეყანას ომში დაავადებასთან, ტრამპმა უპასუხა: „მე ასე  
ვუყურებ, მე ასე ვხედავ - გარკვეულწილად, როგორც ომის დროის პრეზიდენტი“, - აღნიშნა  
ტრამპმა და დაამატა, რომ ისინი უზილავე მტერს დაამარცხებენ. ტრამპმა აშშ-ის მო-  
ქალქეები შეაქო გამონვევასთან რეაგირების გამო. „ამერიკელი ხალხი წარმოუდგენელი  
იყო“, - აღნიშნა მან. ცნობისთვის, ახალი კორონავირუსი აშშ-ს 50-ზე მეტ შტატშია დაფიქსი-  
რებული. დალუპულთა რაოდენობა კი 135-ს შეადგენს. კორონავირუსის დადასტურებული  
შემთხვევების რაოდენობა აშშ-ში 8000-ს აჭარბებს.

## კორონა, კალი და კარანტინი

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში სა-  
განგებო მდგომარეობა გამოცხადდა,  
მათ შორის იტალიასა და ესპანეთშიც.  
ამ ქვეყნებში კორონავირუსის გავრცე-  
ლების საფრთხის გამო, ხალხი, ფაქტო-  
ბრივად კარანტინშია. დროის გაყვანის  
საუკეთესო სა-  
შუალება ამ დროს  
სიმღერა, ცეკვა,  
სპორტის რომე-  
ლიმე სახეობით  
დაკავებაა. მა-  
გრამ, ხომ მო-  
გეხსენებათ, აკრ-  
ძალული ხილი  
რომ ყველაზე გე-  
მრიელია? ანდა,  
ოქროს გალიაში  
მყოფს როგორ  
ენატრება თავისუფლება? სწორედ ასეა  
ევროპაშიც, რადგან ადამიანური გრძ-  
ნობები და მოთხოვნები ყველგან  
ერთია, მიუხედავად ეთნიკური განსხვავ-  
ებისა თუ ეროვნული ტრადიციებისა.  
ამიტომ ამ ქვეყნებში ყველაზე დიდი  
ფასი დაედო შინაურ ცხოველს, რომელ-  
საც მანამდე ერთგულების განმსაზღ-  
ვრელ ეტალონად მოიხსენიებდნენ. მას  
ახლა ერთგულებასთან ერთად სუფთა  
ჰაერზე გასეირნებისა და თავისუფლე-  
ბის შეგრძნების  
თუნდაც რამდენიმე  
წუთიანი აბონემენ-  
ტი აქვს. საქმე იმა-  
ში გახლავთ, რომ,  
იტალიისა და ეს-  
პანეთის მთავრო-  
ბები მხოლოდ იმ  
ადამიანებს აძლე-  
ვენ გარეთ გასვლის  
საშუალებას, ვისაც  
ძალი ჰყავს. რო-  
გორც სოციალურ  
ქსელში წერენ, ახლა ყველაზე ბედნიერი  
ისაა, ვისაც მიეცემა ძალის თხოვებისა  
და გარეთ გასვლის შანსი.



## „კორონა“ VS კორონავირუსი

კორონავირუსმა ისეთ პროდუქტებსაც „შეუტია“, რომლებიც მის სახელწოდებას-  
თან ასოცირდებიან და საეჭრო ქსელში მათ რეალიზაციის საფრთხეც შეუქმნა. ბევრმა  
მომხმარებელმა ჩათვალა, რომ პროდუქციის სახელწოდება პირდაპირპროპორციულად  
აისახება დაავადების გავრცელებასთან და მის შექმნას ბოიკოტი გამოუცხადა. მათ რი-  
ცხვში აღმოჩნდა: შოკოლადი „კორონა“, ბურლულული „კორონა“ და ამავე სახელის  
მქონე ლუდი. როგორც ჩანს, ვირუსის სხელებს პანდემიის დროს არ გაუმართლათ.

ლუდი „კორონა“ არც ისე სახარბილო მდგომარეობაშია. ამავე სახელწოდების  
ვირუსმა, რომელიც მსოფლიოში მძვინვარებს და საყოველთაო ისტერიის საგანია,  
ბრენდის მიმართ გაურკვევლობა გააჩინა. ჩვენ უკვე ვიკვებით, როგორ ეძებდნენ სა-  
ძიებო სისტემებში „ლუდის ვირუსს“- რატომღაც, ბევრმა შეცდომით მიიჩნია, რომ  
კორონავირუსით დაავადების მიზეზები სწორედ ლუდშია.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, მდგომარეობა ბევრად შეიცვალა და  
გლობალური ვირუსული ისტერია ლუდ Corona-ს გაყიდვებსაც დაეტყო. კომპანია AB  
InBev-მა, რომელიც ლუდ „კორონას“ ამზადებს, განაცხადა, რომ ჩინეთის ბაზარზე  
\$170 მლნ დოლარიანი ზარალი ნახა. Budweiser-ის, Corona-სა და Stella Artois-ის შე-  
მქმნელმა კომპანიამ განაცხადა, რომ ვირუსის გამო ჩინეთში მათ ლუდზე მოთხოვნა  
მნიშვნელოვნად დაეცა. ეს შედეგი, განსაკუთრებით, ჩინური ახალი წლის პერიოდის  
დროს გამოჩნდა. AB InBev-ის თქმით, კორონავირუსის გამო, კომპანია, სავარაუდოდ,  
მოგებას 10%-მდე იზარალებს, წლის პირველ კვარტალში.

CNN-ის ცნობით, 5W Public Relations-ის გამოკითხვა, რომელშიც ლუდის 737 მო-  
ყვარული მონაწილეობდა, გვიჩვენებს შემდეგს: ამერიკელთა 38% ამბობს, რომ არა-  
ვითარ შემთხვევაში არ იყიდდა ლუდ „კორონას“, სხვა 16% კი, აღნიშნავს, რომ ლუდ  
„კორონას“ საჯარო შეკრების ადგილებში არ შეუკვებთავენ.

ანალიტიკურმა კომპანიამ YouGov, რომელიც ამერიკელი მოქალაქეების მოსაზრე-  
ბას იკვლევს, განაცხადა, რომ 2020 წლიდან, ლუდ კორონას შესახებ, დადებითი მო-  
საზრებების მაჩვენებელი 75-დან 51-ზე ჩამოვიდა.

ამ ყველაფრის ფონზე, ჩნდება კითხვა, რას მოიმოქმედებს ბრენდი?  
როგორც CNN Business იუწყება, „კორონა“ არ აპირებს მის სარეკლამო ტაქტიკა-  
ში ცვლილებას შეტანას, ვირუსთან სახელდებით თანხვედრის მიუხედავად. Constel-  
lation-ის თქმით, უნდა გავიზოროთ, რომ ვირუსსა და ლუდის ბრენდს არაფერი აქვს  
საერთო. მეტიც, „კორონამ“ სიახლეების შესახებ დააანონსა და მისი წარმომადგენ-  
ლის, მემი ჰოშმანის თქმით, ბრენდი მიჰყვება იმ საკომუნიკაციო სტრატეგიას, რაც  
ბოლო 30 წლის განმავლობაში ჰქონდა: „ჩვენ თანავუგრძნობთ მათ, ვისაც ეს ვირუსი  
შეეხო. სიტუაციაზე დაკვირვებას განვაგრძობთ და ვცდილობთ დავრწმუნდეთ, ჩვენს  
მომხმარებლებს ესმით, რომ ჩვენს ლუდსა და ვირუსს შორის არაფერია საერთო.“

## კორონასთან საზოგადოებრივი სრულდება...

დახს, კორონავირუსთან ხუმრობა რომ არ შეიძლება, ეს მსოფლიომ უკვე ნახა.  
ყველამ, ვინც არ გაითვალისწინა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდა-  
ციები, არასახარბილო შედეგი იწვნია. ბევრი ასეთის სიცოცხლე ლეტალურად და-  
მთავრდა. ამჯერად საქართველოში კორონასთან ხუმრობა და თვითიზოლაციის წესე-  
ბის დარღვევა ასზე მეტმა ადამიანმა სცადა. ყველა მათგანი კარანტინში გადაიყვანეს,  
ხოლო საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, საკანონმდებლო ბერკეტი  
აემოქმედებინა და კანონი გაემკაცრებინა. ერთ-ერთი ცვლილება ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა კოდექსში შედის, რომლის თანახმადაც, კარანტინის წესის და-  
რღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო  
იურიდიული პირის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით. ამასთან, ცვლილებებით  
განისაზღვრება, რომ კარანტინის წესს დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა.  
კორონავირუსზე ცუდად იხუმრა ახალგაზრდა გოგონამ, რომელმაც 10-მდე ადა-  
მიანს ცრუ ინფორმაციის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა. 16  
მარტს კორონავირუსთან დაკავშირებით გაგზავნილ შეტყობინებებზე ინფორმაცია  
გაავრცელა ჯანდაცვის სამინისტრომ. თუნდაც განცხადებით, მოსახლეობის ნაწილს  
დაეგზავნა ყალბი SMS შეტყობინება, თითქოს კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყ-  
ნის საკარანტინე ზონად გამოცხადებდა იგემება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში  
მას 2-დან 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გვერდის მასალები მოამზადა  
ინგა შიოლაშვილი

# კორონა და მსოფლიო ეკონომიკა

